საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/08/2025

MES 3 25 0000940279

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების" 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 მარტის №346387 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 1 მაისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს სხდომის №939298 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების გაუმჯობესება და პროგრამების მუდმივი განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში უფრო ფართო სპექტრის დაინტერესებული მხარეების — მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტების — აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. გამჭვირვალე კომუნიკაციის უზრუნველყოფა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისათვის ფორმალური მექანიზმების შექმნა ხელს შეუწყობს პროგრამის შესაბამისობას, ხარისხს და მის ადაპტირებას აკადემიური და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. რეკომენდებულია, სემესტრის ბოლოს გაიზარდოს პრაქტიკული სამუშაოებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა არქივ-მუზეუმთმცოდნეობის კურსში.
3. რეკომენდებულია, ხელმძღვანელებმა ასევე ხელი შეუწყონ სტუდენტური კვლევის პრაქტიკულ გამოყენებას.
4. რეკომენდებულია განხორციელდეს სახელმძღვანელო დავალების პროცესისა და კრიტერიუმების პერიოდული მიმოხილვა, როგორც ეს მოცემულია მაგისტრატურის დებულების მე-13 და მე-14 მუხლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მუდმივი შესაბამისობა და რეაგირება პროგრამის სპეციფიკურ განვითარებასა და კვლევის ტენდენციებზე.
5. რეკომენდებულია სწავლის შედეგების გამოყენების მექანიზმების შემუშავება. დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს სწავლის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისა და შეფასების მექანიზმები, რათა ისინი ეფექტიანად ინტეგრირდეს სწავლების პროცესში, სტუდენტთა შეფასებასა და სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში.
6. სწავლის შედეგები მკაფიოდ უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსს, სტრუქტურირებული იყოს სირთულის პროგრესული დონეების მიხედვით (გაცნობითი, საშუალო, მოწინავე) და სისტემატურად იყოს მხარდაჭერილი სასწავლო გეგმის განმავლობაში.
7. თითოეული სასწავლო შედეგი უნდა შეფასდეს მკაფიოდ განსაზღვრული, შესაბამისი ინსტრუმენტებით. შეფასების აქტივობები უნდა იყოს სპეციფიკური, გაზომვადი და დიფერენცირებული პირდაპირი (მაგ., გამოცდები, პრეზენტაციები, პროექტზე მუშაობა) და არაპირდაპირი (მაგ., გამოკითხვები, თვითშეფასება) მეთოდებისთვის.
8. თითოეული შედეგის შესაფასებლად გამოყენებული კურსების რაოდენობა უნდა იყოს რეალისტური და მართვადი, რათა თავიდან იქნას აცილებული აკადემიური პერსონალის გადატვირთვა და უზრუნველყოფილი იყოს აზრიანი შეფასება.
9. ყველა დოკუმენტის ქართული და ინგლისური ვერსიები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სწავლის შედეგებს და შეფასების გეგმებს.
10. სილაბუსების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს მოძველებულ სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც უნდა გადაიხედოს და განახლდეს, რათა ასახავდეს სფეროში არსებულ უახლეს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და კვლევებს. გარდა ამისა, შესამჩნევი შეუსაბამობაა ბევრი კურსის სათაურებსა და სილაბუსების შინაარსობრივ ნაწილებში ასახულ საგანმანათლებლო თემებს შორის. აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ კურსების სათაურები ზუსტად ასახავდნენ მათ აკადემიურ შინაარსს, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას (სიზუსტეს), შესაბამისობას და სტუდენტების მოლოდინებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას.
11. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შექმნას სტუდენტთა ინიციატივების ხელშეწყობისა და დახმარების მექანიზმები, რითაც მხარს დაუჭერს სტუდენტთა ჩართულობისა და განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს.
12. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეძლოს მეტი საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზება.

13. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უფრო მეტ ჟურნალსა და მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა იფიქროს უფრო აქტუალური და ახალი წიგნების შეძენაზე.
14. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადადგას აქტიური ნაბიჯები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სრულად დასანერგად.
15. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მუდმივი და სისტემატური ძალისხმევა გარე შეფასების პროცესში გამოვლენილი განმავითარებელი რეკომენდაციების განხორციელება.
16. პროგრამის უფრო ეფექტური და მნიშვნელოვანი პერიოდული შეფასებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის/მონაცემების რეგულარულად შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. შედეგები მკაფიოდ უნდა აისახოს პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების გეგმებში.
17. რეკომენდებულია პროგრამის შინაარსის, მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის უფრო საფუძვლიანი ანალიზი და შედარება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან.
18. რეკომენდებულია კურსის სილაბუსების დახვეწა. სასწავლო კურსების სილაბუსები უნდა განახლდეს და დაიხვეწოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა შეთავაზებულ ლიტერატურასა და წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სილაბუსებში განახლებული და რელევანტური აკადემიური ლიტერატურის შეტანას, მათ შორის თანამედროვე გამოცემების და უცხოენოვანი წყაროების ჩათვლით.
19. რეკომენდებულია სწავლის შედეგების გამოყენების მექანიზმების შემუშავება. დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს სწავლის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისა და შეფასების მექანიზმები, რათა ისინი ეფექტიანად ინტეგრირდეს სწავლების პროცესში, სტუდენტთა შეფასებასა და სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში.
20. რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება. აუცილებელია ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების გაუმჯობესება და პროგრამების მუდმივი განვითარებისა და განხილვის პროცესში უფრო ფართო სპექტრის დაინტერესებული მხარეების — მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და არაკადემიური პერსონალის — აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.
21. რეკომენდებულია უცხო ენის კომპეტენციების გაძლიერება. აუცილებელია, სასწავლო დაწესებულებამ განიხილოს უცხო ენების კურსების გაფართოება აკადემიური და პროფესიული მობილობის გაუმჯობესების მიზნით; განსაკუთრებით იმ ენებში, რომლებიც რეგიონსა და სფეროსთან არის დაკავშირებული (მაგ., გერმანული, სპარსული, რუსული, თურქული, სომხური, აზერბაიჯანული).
22. რეკომენდებულია საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გაძლიერება. დაწესებულება აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში, როგორიცაა Erasmus+, Erasmus Week და COST-ის პროგრამები. ეს ინიციატივები ხელს შეუწყობს ინსტიტუციის საერთაშორისო პროფილის გაძლიერებას და აკადემიური თანამშრომლობის გაფართოებას.
23. რეკომენდებულია ინკლუზიური საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა. გაიზარდოს სტუდენტებისა და არაკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და თანამშრომლობის ინიციატივებში. ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ჩართულობის გაფართოებას და ინტერნაციონალიზაციის კულტურის გაღრმავებას ყველა დონეზე.
24. რეკომენდებულია ბიბლიოთეკის რესურსების გაუმჯობესება. ბიბლიოთეკის რესურსების განვითარება უნდა გახდეს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. ამის მიღწევა

შესაძლებელია აკადემიურ გამომცემლებთან პარტნიორობის გაძლიერებით, მიზანმიმართული საქველმოქმედო კამპანიების განხორციელებით და ისეთ საერთაშორისო აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფით, როგორიცაა JSTOR.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 1 მაისიდან.
5. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 1 მაისი.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე